# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის სტანდარტი DDP-03

## გაუტეხავი თხილის

რეალიზაცია და სასაქონლო ხარისხის კონტროლი

2007 წლის გამოცემა

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ნიუ-იორკი, ჟენევა, 2007

## შენიშვნა

### სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხობრივი სტანდარტების სამუშაო ჯგუფი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხობრივი სტანდარტების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კომერციული სტანდარტები ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, მაღალხარისხიანი პროდუქტის წარმოებას, მწარმოებლების რენტაბელობის გაზრდასა და მომხმარებლების ინტერესების დაცვას. გაეროს ეკონომიკური კომისიის სტანდარტები გამოიყენება სამთავრობო ორგანიზაციების, მწარმოებლების, სავაჭრო ორგანიზაციების, იმპორტიორებისა და ექსპორტიორების, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფართო სპექტრს, ნედლი ხილისა და ბოსტნეულის, მშრალი და გამომშრალი ხილის, სათესლე კარტოფილის, ხორცის, მოჭრილი ყვავილების, კვერცხისა და კვერცხის პროდუქტების ჩათვლით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია თანაბარი პირობებით მიიღოს მონაწილეობა სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სტანდარტების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ჩვენს საიტზე: http://www.unece.org/trade/agr

თხილის გულისთვის შემუშავებული სტანდარტის წინამდებარე გამოცემის ტექსტი ეფუძნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხობრივი სტანდარტების სამუშაო ჯგუფის სამოცდამეექვსე სესიაზე განხილულ და მიღებულ დოკუმენტს ECE/TRADE/C/WP.7/2010/11.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოყენებული განმარტებები და მასალები არ გამოხატავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მოსაზრებას ამა თუ იმ ქვეყნის, ტერიტორიული ერთეულის, ქალაქის ან რაიონის, მათი სახელისუფლებო ორგანოებისა და საზღვრების დელიმიტიზაციის სამართლებრივი სტატუსის შესახებ. კონკრეტული კომპანიების დასახელებების ან კომერციული პროდუქტების მითითება არ ნიშნავს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მათ რაიმე უპირატესობას ანიჭებს.

წინამდებარე მასალის გამოყენების ან გადაბეჭდვისას აუცილებელი პირობაა ინფორმაციის წყაროს მითითება.

შენიშვნები და შეკითხვები მიიღება შემდეგ მისამართზე:

Agricultural Standards Unit
Trade and Timber Division
United Nations Economic Commission for Europe
Palais des Nations
CH-1211 Geneva 10, Switzerland
e-mail: agristandards@unece.org

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის სტანდარტი DDP-03**

**გაუტეხავი თხილის**

**რეალიზაცია და სასაქონლო ხარისხის კონტროლი**

## I. პროდუქტის განსაზღვრა

წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები ვრცელდება ჩვეულებრივი (Corylus avellana L.) და ლომბარდიული თხილის (Corylus maxima Mill.) ჯიშების (კულტურული სახეობების), მათი ჰიბრიდებისგან მოყვანილი საბურველმოცილებულ გაუტეხავ თხილზე, რომელიც განკუთვნილია ადამიანის მიერ პირდაპირი მოხმარებისთვის ან სხვა სასურსათო პროდუქტებთან ერთად გამოსაყენებლად შემდგომი გადამუშავების გარეშე.

წინამდებარე სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ გაუტეხავ თხილზე, რომელიც განკუთვნილია სამრეწველო გადამუშავებისთვის.

## II. მოთხოვნები ხარისხის მიმართ

წინამდებარე სტანდარტის მიზანია საექსპორტო კონტროლის ეტაპისთვის გაუტეხავი თხილის ხარისხობრივი მოთხოვნების განსაზღვრა მომზადებისა და შეფუთვის შემდეგ.

თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ამ სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს ითვალისწინებენ საექსპორტო კონტროლის მომდევნო ეტაპებზეც, მაშინ მფლობელს დაეკისრება პასუხისმგებლობა მათ სრულ შესრულებაზე. მფლობელს/გამყიდველს ეკრძალება სარეალიზაციოდ ისეთი პროდუქტის შეთავაზება, მიწოდება ან რაიმე სხვა სახით ბაზარზე გატანა, რომელიც წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

### ა. მინიმალური მოთხოვნები[1]

ყველა სახეობის გაუტეხავი თხილი, თითოეული სახეობისთვის დაწესებული მოთხოვნებისა და გადახრების დასაშვები დონეების გათვალისწინებით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

(ა) ნაჭუჭს შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს:

- უნდა იყოს მთლიანი, თუმცა ზედაპირის მცირეოდენი დაზიანება დეფექტად არ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გული ფიზიკურად დაცულია.
- უნდა იყოს სუფთა, ხილული უცხო სხეულებისგან პრაქტიკულად თავისუფალი. მიმხმარი საბურველის ნარჩენებით დაფარული ფართობი არ უნდა აღემატებოდეს ნაჭუჭის მთლიანი ზედაპირის 5%-ს.
- ლაქების და ნაჭუჭის ძირითად ფერთან შედარებით მკრთალი ან კონტრასტული შეფერილობის ადგილები ნაჭუჭის მთლიანი ზედაპირის 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს.
- უნდა იყოს კარგად ფორმირებული, შესამჩნევი დეფორმაციის გარეშე.

(ბ) თხილის გულს შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს:

- არ უნდა იყოს მძაღე.
- უნდა იყოს საკმარისად მოწეული. გული ნაჭუჭის შიგთავსის მინიმუმ 50%-ს უნდა ავსებდეს.
- არ უნდა იყოს ზედმეტად გამომშრალი. გული, რომლის ზედაპირის 25%-ზე მეტი არის ზედმეტად გამომშრალი ან გამაგრებული, უვარგისია და უნდა მოხდეს ამგვარი გულის გამორჩევა საღი პროდუქტისგან;
- თხილის გულზე ლაქებისა და აგრეთვე ძირითად ფერთან შედარებით მკრთალი ან კონტრასტული შეფერილობის ადგილები მთლიანი ზედაპირის 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს.
- უნდა იყოს კარგად ფორმირებული.

---

[1] ტერმინები და დეფექტები განსაზღვრულია სტანდარტების ტიპობრივი ფორმის მე-3 დანართში - მშრალი ნაყოფის (გაუტეხავი თხილი და თხილის გული) და გამომშრალი პროდუქტების სტანდარტებისთვის შემუშავებული რეკომენდებული ტერმინები და დეფექტების განმარტებები http://www.unece.org/trade/agr/standard/dry/StandardLayout/StandardLayoutDDP_e.pdf

(გ) მთლიანი პროდუქტი (ნაჭუჭი და გული) შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- უნდა იყოს მშრალი „ბ" ნაწილში განსაზღვრული ტენიანობის შემცველობის მოთხოვნების თანახმად.
- უნდა იყოს საღი. ლპობისა და გაფუჭების ნიშნების მქონე პროდუქტი მიიჩნევა ადამიანის მოხმარებისთვის უვარგისად და არ მიიღება.
- არ უნდა შეიმჩნეოდეს შეუიარაღებელი თვალით ხილული ობის ნიშნები.
- არ უნდა აღინიშნებოდეს ცოცხალი ორგანიზმების არსებობა, მიუხედავად მათი განვითარების ეტაპისა.
- არ უნდა იყოს მავნებლებით დაზიანებული, რაც ასევე მოიცავს მკვდარი მწერების ან/და ტკიპების და მათი ნარჩენების ან ექსკრემენტების არსებობას.
- გარე ზედაპირის ტენიანობა არ უნდა იყოს ზედმეტად მაღალი.
- არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი ან/და გემო.

გაუტეხავი თხილი საშუალებას უნდა იძლეოდეს, რომ:

- გაუძლოს ჩატვირთვას, გადმოტვირთვას და ტრანსპორტირებას და
- დანიშნულების ადგილს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მიეწოდოს.

**ბ. ტენიანობის შემცველობა**[2]

გაუტეხავი თხილის შემთხვევაში, მთლიანი პროდუქტის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12%-ს, ხოლო გულის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 7%-ს.

**გ. კლასიფიკაცია ხარისხების მიხედვით**

მე-4 ნაწილში „მოთხოვნები ნორმიდან დასაშვები გადახრების შესახებ" განსაზღვრული დასაშვები დეფექტების მიხედვით, დადგენილია გაუტეხავი თხილის უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხები.

დასაშვები დეფექტები უარყოფით ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს პროდუქტის ზოგად გარეგნულ მხარეზე, კერძოდ კი, მის ხარისხზე, შენახვის უნარსა და შეფუთული პროდუქტის სასაქონლო სახეზე.

## III. მოთხოვნები ზომის მიმართ

უმაღლესი და პირველი ხარისხების გაუტეხავი თხილის შემთხვევაში აუცილებელია ზომების მიხედვით თხილის დაკალიბრება, ხოლო მეორე ხარისხის გაუტეხავი თხილის შემთხვევაში ამ მოთხოვნის შესრულება ნებაყოფლობითია. თხილის ზომა (კალიბრი) განისაზღვრება ნაჭუჭის განივი კვეთის მაქსიმალური დიამეტრის მიხედვით.

თხილის მინიმალური ზომა (კალიბრი) შეადგენს დიამეტრით 12 მმ-ს.

თხილის ზომის ერთგვაროვნება დგინდება შემდეგი მეთოდებით:

- მინიმალური და მაქსიმალური ზომების დიაპაზონი, რომელიც 3 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს;
- პროდუქტის დაკალიბრება დიამეტრის მინიმალური ზომის მიხედვით.

---

[2] ტენიანობის შემცველობა განისაზღვრება სტანდარტების ტიპობრივი ფორმის მე-2 დანართში მოცემული მეთოდებიდან ერთ-ერთის გამოყენებით - მშრალ პროდუქტში ტენიანობის შემცველობის დონის განსაზღვრა. http://www.unece.org/trade/agr/standard/dry/StandardLayout/StandardLayoutDDP_e.pdf დავის შემთხვევაში გამოიყენება ეტალონური ლაბორატორიული მეთოდი.

## IV. ნორმიდან დასაშვები გადახრები

პროდუქტის თითოეულ პარტიაში დასაშვებია ხარისხისა და ზომის თვალსაზრისით შეუსაბამო პროდუქტის არსებობა, რომელიც არ აკმაყოფილებს კონკრეტული ხარისხისთვის დაწესებული ზოგად მოთხოვნებს.

| **დასაშვები დეფექტები** | **გადახრის დასაშვები დონე**<br>დეფექტიანი გაუტეხავი თხილის პროცენტული შედგენილობა რაოდენობის ან წონის მიხედვით<br>(გაუტეხავი თხილის მთლიან წონასთან მიმართებით) | | |
|---|---|---|---|
| | **უმაღლესი ხარისხი** | **პირველი ხარისხი** | **მეორე ხარისხი** |
| **(ა) ნაჭუჭისა და თხილის გულისთვის დაწესებული მინიმალური მოთხოვნებიდან გადახრა, აქედან:** | **10** | **15** | **20** |
| – არასაკმარისად განვითარებული/მოწეული ან ცარიელი თხილი (რაოდენობის მიხედვით), არა უმეტეს | 6 | 9 | 12 |
| – დაობებული, მძაღე, მავნებლებით დაზიანებული და გაფუჭების ან სიდამპლის ნიშნების მქონე თხილი, არა უმეტეს | 3 | 5 | 6 |
| – ცოცხალი ორგანიზმების მქონე თხილი, არა უმეტეს | 0 | 0 | 0 |
| **(ბ) გადახრები კალიბრიდან** | | | |
| – დაკალიბრების მოთხოვნებისა და მითითებული კალიბრის მიხედვით შეუსაბამო პროდუქტი | 10 | 10 | 10 |
| **(გ) გადახრები სხვა დეფექტებიდან** | | | |
| – უცხო სხეულები, ნაჭუჭის ფრაგმენტები, საზურველის ნაწილები, მტვერი | 1 | 1 | 2 |
| – მითითებული სახეობისგან ან კომერციული ტიპისგან განსხვავებული გაუტეხავი თხილი | 10 | 10 | 10 |

შენიშვნა: ცალკეული ხარისხის თხილისთვის განსაზღვრული გადახრის მთლიანი მაჩვენებლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ნაჭუჭისთვის დაწესებული დეფექტებისთვის იმ პირობით, რომ არცერთი სხვა სახის დეფექტი არ ფიქსირდება.

## V. მოთხოვნები პროდუქტის სასაქონლო სახის მიმართ

### ა. ერთგვაროვნება

თითოეული შეფუთვის შიგთავსი უნდა იყოს ერთგვაროვანი. ცალკეული შეფუთვა უნდა მოიცავდეს მსგავსი წარმოშობის, ხარისხის, ზომის (იმ შემთხვევაში, თუ ზომა განსაზღვრულია), ჯიშის, კომერციული სახეობის (იმ შემთხვევაში, თუ სახეობა განსაზღვრულია) და ერთი და იმავე წლის მოსავლის გაუტეხავ თხილს.

ცალკეული შეფუთვის ზედაპირზე ხილული პროდუქტის მახასიათებლები შეფუთვაში მოთავსებული თხილის მახასიათებლებს უნდა ემთხვეოდეს.

### ბ. შეფუთვა

გაუტეხავი თხილის შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს პროდუქტის სრული დაცვა.

შეფუთვის შიგნით გამოყენებული მასალა უნდა იყოს სუფთა და ისეთი ხარისხის, რომ უზრუნველყოფდეს პროდუქტის დაცვას შიგა ან გარე დაზიანებებისგან. სხვადასხვა სახის შესაფუთი მასალის, მაგ., ქაღალდის ან სავაჭრო ნიშნების გამომსახველი შტამპის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არატოქსიკური მელნის ან წებოს გამოყენებისას.

დაუშვებელია ნებისმიერი სახის უცხო სხეულის არსებობა შეფუთვაში მე-4 ნაწილში მოცემული გადახრების დასაშვები დონეების გათვალისწინებით.

### გ. სასაქონლო სახე

გაუტეხავი თხილი მოთავსებული უნდა იყოს ტომრებში ან მყარ კონტეინერებში. ერთსა და იმავე მსხვილ შეფუთვაში არსებული სარეალიზაციოდ განკუთვნილი მცირე ზომის შეფუთვები უნდა იყოს ერთი და იმავე წონის.

<ნაჭუჭის გარე ზედაპირის გაწმენდა/დამუშავება შესაძლებელია ნებადართული პრეპარატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისას თხილის გულის ხარისხზე უარყოფითი ზეგავლენა გამორიცხულია.>

## VI. მოთხოვნები მარკირების მიმართ

თითოეულ შეფუთვას[3] უნდა ჰქონდეს მკაფიო, კარგად წაკითხვადი და წაუშლელი წარწერა, რომელზედაც მითითებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია. წარწერის ტექსტი შეფუთვის მეორე მხარეს არ უნდა გადადიოდეს.

### ა. იდენტიფიკაცია

დამფასოებელი ან/და გამგზავნი: დასახელება და ფიზიკური მისამართი (მაგ., ქუჩა/ქალაქი/რეგიონი/საფოსტო ინდექსი და ქვეყანა იმ შემთხვევაში, თუ გამომგზავნი ქვეყანა განსხვავდება პროდუქტის წარმოშობის ქვეყნისგან) ან ეროვნული უფლებამოსილი ორგანოს[4] მიერ ოფიციალურად მინიჭებული და აღიარებული კოდი.

### ბ. პროდუქტის სახეობა

- „გაუტეხავი თხილი" ან, თუ გარედან შესაძლებელი პროდუქტი ჩანს, მაშინ „თხილი"
- ჯიშის ან/და კომერციული სახეობის დასახელება (სავალდებულო არ არის).

### გ. პროდუქტის წარმოშობა

- წარმოშობის ქვეყანა და, სურვილისამებრ, პროდუქტის მოყვანის რეგიონი ან კონკრეტული ადგილი.

### დ. კომერციული მახასიათებლები

- ხარისხი;
- ზომა (დაკალიბრების შემთხვევაში), რომელიც შემდეგი ფორმით არის გამოსახული:
  - დიამეტრის მინიმალური და მაქსიმალური ზომა ან
  - დიამეტრის მინიმალური ზომა და შემდეგ მითითება „და მეტი" ან „და +";
- მოსავლის წელი (არ არის სავალდებულო);
- „ვარგისიანობის ვადა" შესაბამისი თარიღის მითითებით (არ არის სავალდებულო).

### ე. ოფიციალური კონტროლის აღნიშვნა (არ არის სავალდებულო)

თავდაპირველად გამოქვეყნდა 1970 წელს

ბოლოს განახლდა 2007 წელს

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ ხილისა და ბოსტნეულის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სქემის ფარგლებში გამოქვეყნდა წინამდებარე სტანდარტის განმარტებითი ბროშურა, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია საიტიდან: www.oecdbookshop.org

---

[3] მარკირების წინამდებარე მოთხოვნები არ ვრცელდება პროდუქტის შეფუთვის ერთეულზე, რომელიც პირდაპირ საბოლოო მომხმარებელზე რეალიზაციისთვის არის განკუთვნილი. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა ეროვნული მოთხოვნების შესრულება. თუმცა, მოხსენიებული მარკირების მოთხოვნების გათვალისწინება აუცილებელია სატრანსპორტო შეფუთვის თითოეულ ერთეულზე.

[4] რიგი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს ზუსტი დასახელების და მისამართის მითითებას. ამასთან, კოდური აღნიშვნის შემთხვევაში, კოდის აღნიშვნასთან უშუალო სიახლოვეს აუცილებელია გაკეთდეს მითითება „დამფასოებელი ან/და გამგზავნი" (ან ეკვივალენტური აბრევიატურა). ISO 3166-ის შესაბამისად, კოდის წინ მითითებული უნდა იყოს მაღიარებელი ქვეყნის ანბანური კოდი იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოშობის ქვეყნის კოდისგან განსხვავდება.